



თქვენ დაგაკავებს დაპატიმრების ევროპული ორდერის საფუძველზე და დასაკითხად გადაგიყვანეს პოლიციის განყოფილებაში ან სხვა ადგილზე

Georgisch

ევროკავშირის წევრმა ქვეყანამ გასცა თქვენი დაპატიმრების ევროპული ორდერი. აქედან გამომდინარე, თქვენ დაგაპატიმრათ ნიდერლანდების სამეფო პოლიციამ (KMar-მა) ან რომელიმე სხვა ჰოლანდიურმა საგამომიებო სამსახურმა. მნიშვნელოვანია, სრულად გაიაზროთ, რა უფლებები გაქვთ. ამიტომ, გთხოვთ, ყურადღებით წაიკითხოთ ეს საინფორმაციო ფურცელი.

საპროცესო მოქმედებების შესრულება
თქვენ დაგაპატიმრეს და პოლიციის განყოფილებაში გადაგიყვანეს. ახლა სახელმწიფო ბრალმდებელი ან სახელმწიფო ბრალმდებლის თანაშემწე გადაწყვეტს, უნდა დარჩეთ თუ არა პოლიციის განყოფილებაში. აქ დარჩენის პერიოდი მაქსიმუმ 3 დღეს შეადგენს. თუმცა, გარკვეულ შემთხვევებში სახელმწიფო ბრალმდებელმა შეიძლება გადაწყვიტოს პოლიციის განყოფილებაში თქვენი გაჩერება 3 დღეზე მეტი ხნით.

3 დღის ან ნებისმიერ შემთხვევაში 6 დღის განმავლობაში თქვენ წარდგებით სახელმწიფო ბრალმდებლის ან გამომძიებელი მოსამართლის წინაშე ამსტერდამში. სახელმწიფო ბრალმდებელი ან გამომძიებელი მოსამართლე გადაწყვეტს, დარჩებით თუ არა პატიმრობაში. ასეთ შემთხვევაში თქვენ გადაგიყვანენ დროებითი დაკავების იზოლატორში.

საჯარო მოსმენა გაიმართება ამსტერდამის საოლქო სასამართლოში 60 დღის განმავლობაში, მაგრამ არა უგვიანეს 90 დღისა. ამ მოსმენის მიზანია ევროკავშირის

წევრი ქვეყნის მიერ გაცემული საექსტრადიციო მოთხოვნის განხილვა. თქვენ გაქვთ ადვოკატთან ერთად დასწრების უფლება, მაგრამ ასევე შეგიძლიათ, არ დაესწროთ ამ მოსმენას. ასეთ შემთხვევაში თქვენ წარმოგადგენთ ადვოკატი და ის ისაუბრებს თქვენი სახელით. როგორი გადაწყვეტილებაც არ უნდა მიიღოთ, ყოველთვის გექნებათ უფლება, რომ მოგისმინოთ ამსტერდამის საოლქო სასამართლოში.

ამსტერდამის საოლქო სასამართლო 2 კვირაში გადაწყვეტს, დააკმაყოფილოს თუ არა ექსტრადიციის მოთხოვნა. თუ სასამართლო მოთხოვნის დაკმაყოფილებას გადაწყვეტს, 10 დღეში მოხდება თქვენი ექსტრადიცია ევროკავშირის იმ წევრ ქვეყანაში, რომელმაც ის მოითხოვა.

შემოკლებული პროცედურა
შეგიძლიათ, დაეთანხმოთ ევროკავშირის წევრი ქვეყნის მიერ გაცემულ ექსტრადიციის მოთხოვნას. ასეთ შემთხვევაში არ შედგება თქვენი საჯარო მოსმენა ამსტერდამის საოლქო სასამართლოში. პროცედურა უფრო სწრაფი იქნება, თუ ექსტრადიციაზე დათანხმდებით. ამის გასაკეთებლად მოკლე ვადაში უნდა წარდგეთ სასამართლოს წინაშე და განაცხადოთ, რომ ეთანხმებით ექსტრადიციას. ამისთვის შეგიძლიათ, გამოიყენოთ ადვოკატი. ეს ცნობილია შემოკლებული პროცედურის სახელწოდებით. თუ სასამართლო ექსტრადიციაზე ნებართვას გასცემს, 10 დღეში მოხდება თქვენი გაგზავნა ევროკავშირის იმ წევრ ქვეყანაში, რომელმაც ექსტრადიცია მოითხოვა.

თუ ექსტრადიციაზე თანახმა ხართ, შემდეგი შედეგები უნდა გაითვალისწინოთ:

- მას შემდეგ, რაც სასამართლოს წინაშე განაცხადებთ, რომ ექსტრადიციაზე თანახმა ხართ, გადაწყვეტილებას ვერ შეცვლით.
- ექსტრადიციის მთხოვნელმა ევროკავშირის წევრმა ქვეყანამ შეიძლება თქვენ წინააღმდეგ დევნა აღძრას იმ დანაშაულებზე, რომლებიც დაპატიმრების ევროპულ ორდერში არაა მითითებული, თუ საჩივარს არ შეიტანთ ამის თაობაზე.

მნიშვნელოვანია, რომ თქვენს ადვოკატთან დეტალურად განიხილოთ საქმე, სანამ თანხმობას განაცხადებთ ექსტრადიციაზე.

რა უფლებები გაქვთ?

- არ ხართ ვალდებული, რომ შეკითხვებს უპასუხოთ (გაქვთ დუმილის უფლება)
- გაქვთ ადვოკატისგან სამართლებრივი დახმარების მიღების უფლება
- გაქვთ თარჯიმნის მომსახურების მიღების უფლება
- გაქვთ სამედიცინო მომსახურების მიღების უფლება

დუმილის უფლება

არანაირი ვალდებულება არ გაქვთ, რომ რამე განაცხადება გააკეთოთ ამ პროცედურის განმავლობაში. არ ხართ ვალდებული, უპასუხოთ შეკითხვებს, რომლებსაც დაგისვამენ გამოძიებლები, სახელმწიფო ბრალმძებელი, სახელმწიფო ბრალმძებლის თანაშემწე ან სასამართლო.

იურიდიული დაცვის უფლება

გაქვთ ადვოკატისგან სამართლებრივი დახმარების მიღების უფლება. დაპატიმრების შემდეგ პოლიცია მაქსიმალურად სწრაფად დაგაკავშირებთ ადვოკატთან. შეგიძლიათ მოითხოვოთ ნაცნობი ადვოკატი, რომელთან საუბარიც გსურთ. თუ რომელიმე კონკრეტული ადვოკატის ნახვა გსურთ, მაქსიმალურად სწრაფად აცნობეთ ამის შესახებ პოლიციას. თქვენი ადვოკატის პოლიციაში მოსვლას ცოტა დრო შეიძლება დასჭირდეს. თქვენი ადვოკატი ორ საათში უნდა მოვიდეს, მაგრამ ეს ყოველთვის არ არის შესაძლებელი.

ადვოკატთან ყოველთვის შეძლებთ კონფიდენციალურად საუბარს. ადვოკატს სხვებთან საქმის განხილვის უფლება მხოლოდ თქვენი თანხმობის შემთხვევაში შეეძლება.

ადვოკატთან კონსულტაციის გავლას მაქსიმუმ 30 წუთის განმავლობაში შეძლებთ, რის შემდეგაც სახელმწიფო ბრალმძებელი ან სახელმწიფო ბრალმძებლის თანაშემწე გადაწყვეტს, უნდა დარჩეთ თუ არა პოლიციის განყოფილებაში. თქვენს ადვოკატს უფლება აქვს, დაესწროს ინტერვიუს სახელმწიფო ბრალმძებელთან ან სახელმწიფო ბრალმძებლის თანაშემწესთან.

ადვოკატის მომსახურების საფასურის გადახდა თქვენ არ

მოგიწევთ. თუმცა, თუ საკუთარი ადვოკატის აყვანას გადაწყვეტთ, არსებობს კონკრეტული გარემოებები, რომლებშიც აღნიშნული ხარჯები თქვენ უნდა დაფაროთ. თქვენი პერსონალური მონაცემები მიეწოდება „იურიდიული დახმარების საბჭოს“ (Raad voor de Rechtsbijstand) და მათი ადმინისტრაცია დაამუშავებს.

ასევე, შეგიძლიათ, სახელმწიფო ბრალმძებელს სთხოვოთ, რომ დაგეხმაროთ ადვოკატისგან დახმარების მიღებაში ევროკავშირის წევრ იმ ქვეყანაში, რომელმაც თქვენი დაპატიმრების ევროპული ორდერი გასცა. ამ ადვოკატმა შეიძლება რჩევა მისცეს თქვენს ჰოლანდიელ ადვოკატს. რჩევა შეიძლება ეხებოდეს პროცედურას ევროკავშირის წევრ იმ ქვეყანაში, რომელმაც ევროპაში თქვენი დაპატიმრების ორდერი გასცა.

თქვენი დაპატიმრების ევროპული ორდერის გამცემი ევროკავშირის წევრი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოებმა შეიძლება გაცნობონ, რომ შეგიძლიათ ადვოკატისგან დახმარების მიღება მათ ქვეყანაში. ამის მოგვარება თავად მოგიწევთ, მაგრამ თქვენს ჰოლანდიელ ადვოკატსაც შეუძლია ამ საკითხში დახმარების გაწევა.

რას გააკეთებს თქვენი ადვოკატი?

ადვოკატი წარმოადგენს თქვენს ინტერესებს და დახმარებას გაგიწევთ ექსტრადიციის პროცედურის განმავლობაში თავიდან ბოლომდე – პოლიციაში ინტერვიუს დროს, სახელმწიფო ბრალმძებლის ან გამოძიებელი მოსამართლის წინაშე წარდგენისას და ამსტერდამის საოლქო სასამართლოში საჯარო მოსმენისას.

თქვენი ადვოკატი:

- აგიხსნით, რა ნაბიჯებს მოიცავს პროცედურა
- აგიხსნით, რა უფლებები და მოვალეობები გაქვთ
- მოგცემთ რჩევას შემოკლებული პროცედურის თაობაზე
- მოგცემთ იურიდიულ რჩევებს
- თქვენს ოჯახს, მეგობრებს ან დამსაქმებელს მიაწვდის ინფორმაციას თქვენი სიტუაციის შესახებ, თუ ეს გსურთ
- დაუკავშირდება ადვოკატს იმ ქვეყანაში, რომელმაც თქვენი ექსტრადიცია მოითხოვა.

თარჯიმნის ყოლის უფლება

თუ ვერ საუბრობთ ან ვერ იგებთ ჰოლანდიურ ენას ან თუ კარგად ვერ საუბრობთ და ვერ იგებთ, თარჯიმნის მომსახურების მიღების უფლება გაქვთ. თარჯიმნის ყოლის უფლება ვრცელდება იმ შემთხვევებზეც, როცა ცოტათი საუბრობთ და/ან იგებთ ჰოლანდიურ ენას. განაცხადეთ პოლიციაში, რომ მათი გაგება გიჭირთ და თქვენთვის თარჯიმანს გამოიძახებენ. თარჯიმანი დაგეხმარებათ ადვოკატთან საუბრის დროსაც. თარჯიმანს არ ექნება საქმეზე საუბრის უფლება თქვენი თანხმობის გარეშე. თარჯიმნის მომსახურების საფასურის გადახდა თქვენ არ მოგიწევთ.

სამედიცინო მომსახურების მიღების უფლება
თქვენ გაქვთ სამედიცინო მომსახურების მიღების უფლება.
უთხარით პოლიციელს, რომ თავს ცუდად გრძნობთ,
გსურთ ექიმთან საუბარი ან გჭირდებათ სამედიცინო
დახმარება. ასევე, საქმის კურსში ჩააყენეთ პოლიცია, თუ
წამალს იღებთ და გჭირდებათ.

სხვა უფლებები
თქვენ გაქვთ დაპატიმრების ევროპული ორდერის ასლის
მიღების უფლება. თუ დაპატიმრების ევროპული ორდერი
დაწერილია ენაზე, რომელიც არ იცით, თქვენ გაქვთ
ორდერის ძირითადი სექციების თარგმანის მიღების
უფლება.

თუ ჰოლანდიის მოქალაქეობა არ გაქვთ, შეგიძლიათ,
გამომძიებელს სთხოვოთ, საქმის კურსში ჩააყენოს თქვენი
ქვეყნის საკონსულო ან საელჩო იმის თაობაზე, რომ
პოლიციამ დაგაკავათ.

გაქვთ შეკითხვები?

შეკითხვების არსებობის შემთხვევაში, გაესაუბრეთ თქვენს
ჰოლანდიელ ადვოკატს ან გამომძიებელს.

დეტალური ინფორმაცია პუბლიკაციის შესახებ
ამ საინფორმაციო ფურცლის გამომცემელია იუსტიციისა
და უსაფრთხოების სამინისტრო.
PO Box 20301 | 2500 EH The Hague

2022 წლის დეკემბერი | 22408855

არავითარი უფლება არ შეიძლება წარმოიშვას ამ
საინფორმაციო ფურცლის შინაარსიდან.

22408855 Informatieblad თქვენ დაგაკავებს დაპატიმრების ევროპული ორდერის საფუძველზე და დასაკითხად გადაგიყვანს პოლიციის განყოფილებაში ან

სხვა ადგილზე (Georgisch) | 3

